



გამჭვირვალობის ანგარიში 2024



➔	სამართლებრივი და სტრუქტურული წყობა	01
➔	ფინანსური შედეგები	07
➔	შიდა ხარისხის მართვის სისტემა	10
➔	სამსახურის მონიტორინგის შედეგები	25
➔	დასკვნა	26



„ნექსია ჯორჯია“ („კომპანია“) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, როგორც შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.


კომპანია დაფუძნებულია 2014 წლის 25 აპრილს, რეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქუჩა N12, სართული 4, ბლოკი "ა" და მისი მართვისა და საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო მდებარეობს თბილისში.

კომპანიის პარტნიორები არიან:

- ბორისი მეგრელიშვილი, (54001013510) – 14.3%,
- დავითი ლომიძე, (35001039794) – 41.35 %,
- გელა მღებრიშვილი, (35001037808) – 41.35%,
- დავითი მამრიკიშვილი (60001055575) -3%

შპს „ნექსია ჯორჯია“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აუდიტორული, ბუღალტრული, საგადასახადო, ბიზნეს-საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურება.





NEXIA INTERNATIONAL

Nexia - საერთაშორისო ქსელი: სამართლებრივი და სტრუქტურული მოწყობა

Nexia International-ი წარმოადგენს დამოუკიდებელი სააღრიცხვო და საკონსულტაციო ფირმების გლობალურ ქსელს, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს აუდიტის, ბუღალტრული აღრიცხვის, საგადასახადო და ბიზნეს საკონსულტაციო სერვისებს. Nexia-ის მიზანია, კლიენტების მხარდაჭერა მათი ზრდისა და განვითარების გზაზე, მაღალი ხარისხისა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურების მიწოდებით.

ქსელი აერთიანებს დამოუკიდებელ წევრ ფირმებს, რომლებიც მოქმედებენ საერთო პროფესიული სტანდარტების, ეთიკური პრინციპებისა და ხარისხის კონტროლის ერთიანი ჩარჩოს შესაბამისად, თუმცა, Nexia International-ის თითოეული წევრი ფირმა არის დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული, რომელიც სრულად პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარი საქმიანობისა და ვალდებულებების შესრულებაზე.

ქსელის კოორდინაციას ახორციელებს სათავო ოფისი, რომელიც მდებარეობს ინგლისში, ქალაქ ლონდონში. სათავო ოფისი უზრუნველყოფს ქსელის სტრატეგიულ განვითარებას, წევრი ფირმების კოორდინაციას, ხარისხის სტანდარტების მონიტორინგს და ქსელის საერთო პოლიტიკის განსაზღვრას.

Nexia-ს მართავს საერთაშორისო დირექტორთა საბჭო, რომელშიც წარმოდგენილია ქსელის ყველა წევრი კომპანია.

მმართველი ბორდები



საერთაშორისო დირექტორთა საბჭო



აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის საბჭო



აზია-წყნარი ოკეანის საბჭო



ევროპის საბჭო



ჩრდილოეთ ამერიკის საბჭო





Nexia-ს წევრი კომპანიები

Nexia International-ის ქსელის წევრი ფირმები ოპერირებენ 120-ზე მეტ ქვეყანაში, ყველა რეგიონში, მათ შორის ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და ახლო აღმოსავლეთში.

დღევანდელი მონაცემებით, ქსელი აერთიანებს 519 ოფისს გლობალურად. წევრი ფირმების დეტალური ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://nexia.com/global-presence/>

ბოლო საანგარიშგებო წლის მონაცემებით, Nexia International-ის ქსელის წევრი ფირმების ჯამური შემოსავალი სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად შეადგენს: \$972,000,000.

NEXIA GEORGIA

მმართველობის სტრუქტურა

კომპანიის მმართველობის სტრუქტურა ეფუძნება მრავალდონიან მართვის მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურ კოორდინაციასა და გადანაცვლებების ოპერატიულ მიღებას:


მმართველი პარტნიორები - განსაზღვრავენ კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებებს, კურირებენ საქმიანობის ძირითად სფეროებს (აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა, საგადასახადო სერვისი, იურიდიული მომსახურება, ბიზნეს საკონსულტაციო და სხვა) და პასუხისმგებელნი არიან საერთო ხარისხსა და ზრდის სტრატეგიაზე;

მიმართულების დირექტორები / პარტნიორები - მართავენ კონკრეტული მიმართულებების ოპერატიულ საქმიანობას და უზრუნველყოფენ კომპანიის სტანდარტების დაცვას ყოველდღიურ საქმიანობაში;

მენეჯერები - ხელმძღვანელობენ სამუშაო გუნდებს, კოორდინაციას უწევენ მიმდინარე პროექტებს და უზრუნველყოფენ მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის მაღალი დონის შენარჩუნებას.



Nexia Georgia-ს ორგანიზაციული სტრუქტურა




NEXIA GEORGIA

შპს. „ნექსია ჯორჯიას“ ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და აუდიტორული და არააუდიტორული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა.

საანგარიშგებო პერიოდში Nexia Georgia-ს საერთო შემოსავალმა შეადგინა 14,161,499 ლ.

14,161,500 ლ.



საანგარიშგებო პერიოდში შპს „ნექსია ჯორჯიას“-ს მიერ აუდიტირებული საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (სდპ) საწარმოები მოიცავდა შემდეგ სუბიექტებს:

სს “თამ” თბილავიამშენი



შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “ბერმელი”



შპს “პრაიმბეტონი”



სდპ-ისა და მათი ჯგუფების აუდიტიდან მიღებული შემოსავლები

საზოგადოებრივი დაინტერესების საწარმოების, აგრეთვე ისეთ საწარმოთა ჯგუფში შემავალი სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან მიღებულმა შემოსავალმა, რომელთა მშობელი საწარმო არის სდპ, შეადგინა: **242,968 ლარი.**

აუდიტირებული სუბიექტებისა და მათთან დაკავშირებული საწარმოებისათვის გაწეული არააუდიტორული, კანონით დაშვებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები

საანგარიშგებო პერიოდში Nexia Georgia-ს მიერ აუდიტორული მომსახურების სუბიექტებისთვის არააუდიტორული მომსახურების გაწევიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა **608,962 ლარი**

სხვა პირთა აუდიტიდან მიღებული შემოსავლები

ამავე პერიოდში, სხვა სუბიექტების (არა სდპ) ფინანსური ანგარიშგების ან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა: **2,709,487 ლარი.**

სხვა არააუდიტორული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები

Nexia Georgia-ს სხვა ტიპის არააუდიტორული მომსახურებებიდან - მათ შორის, საგადასახადო კონსალტინგის, ფინანსური მენეჯმენტის, იურიდიული მომსახურებისა და ბიზნეს-კონსალტინგიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა: **10,600,082 ლარი.**

შიდა ხარისხის მართვის სისტემა



შპს „ნექსია ჯორჯიას“ შიდა ხარისხის მართვის სისტემა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს ISQM 1-ს და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. სისტემა მოიცავს პროცესების ერთიან ჩარჩოს, რომელიც მიზნად ისახავს აუდიტის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, პროფესიული და ეთიკური მოთხოვნების დაცვას, შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე არსებითი რისკების დროულ იდენტიფიცირებასა და მართვას.

ფირმის შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება მუდმივ მონიტორინგსა და უკუკავშირის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის უწყვეტ კონტროლს, ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. შიდა მონიტორინგის შედეგები რეგულარულად განიხილება მმართველ პარტნიორებთან და შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან, რითაც მიიღწევა სისტემის ეფექტიანობა.

მმართველი პარტნიორის განცხადება

როგორც შპს „ნექსია ჯორჯიას“ მმართველი პარტნიორი და ხელმძღვანელი პირი, ვაცხადებ, რომ ანგარიშგების პერიოდში (01 იანვარი 2024 – 31 დეკემბერი 2024 წწ.) ფირმის შიდა ხარისხის მართვის სისტემა მოქმედებდა ეფექტურად და უზრუნველყოფდა:

- აუდიტის მაღალი ხარისხის მიღწევას;
- პროფესიული და ეთიკური მოთხოვნების დაცვას;
- საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობას;
- ყველა არსებითი რისკის ადეკვატურ იდენტიფიცირებასა და მართვას.

შიდა მონიტორინგის შედეგებისა და უკუკავშირის სისტემების საფუძველზე შემიძლია დავადასტურო, რომ აუდიტორული საქმიანობა მიმდინარეობდა ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში და სისტემა ფუნქციონირებდა როგორც იყო განსაზღვრული ISQM 1-ისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებით. კომპანია განაგრძობს ხარისხის მართვის სისტემის მუდმივ გაუმჯობესებას და მისი ეფექტიანობის რეგულარულ შეფასებას როგორც შიდა მონიტორინგის, ისე პროფესიული შეფასებების გზით.

შიდა ხარისხის მართვის სისტემის სრული აღწერა



კომპანიის ხარისხის მართვის სისტემა (Quality Management System - QMS) წარმოადგენს საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობის მაღალ ხარისხს, ეფექტურობას და სტაბილურობას. სისტემა განკუთვნილია ისეთი შიდა პროცესების დაგეგმვისთვის, განხორციელებისთვის, მონიტორინგისა და გაუმჯობესებისთვის, რაც გვხმარება მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებაში.

ხარისხის მართვის მიზანია, დავიცვათ პროფესიული სტანდარტები, მინიმუმამდე დავიყვანოთ რისკები, ავამაღლოთ მომხმარებელთა და სხვა დაინტერესებული მხარეების კმაყოფილება და გავაძლიეროთ კომპანიის რეპუტაცია ბაზარზე.

ხარისხის მართვის ძირითადი პრინციპები

ხარისხის მართვის სისტემა აგებულია შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

პროცესების შემოწმებადობა: კომპანიის ყველა ძირითადი საქმიანობა დოკუმენტირებულია და აღირიცხება სპეციფიკურ პროცედურებად, ინსტრუქციებად და პოლიტიკებად. ეს უზრუნველყოფს:

- ყველა თანამშრომლისათვის ერთიანი მუშაობის წესებს
- პროცესების გამჭვირვალობას და შეფასების საშუალებას
- ინფორმაციის ადვილ გადაცემას ახალი თანამშრომლებისთვის

ინდივიდუალური პასუხისმგებლობა: სისტემა ხაზს უსვამს თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობას ხარისხის უზრუნველყოფაში. ყველა აუდიტორმა, მენეჯერმა თუ მარტნიორმა კარგად იციან თავისი როლი და ვალდებულია, რაც ხელს უწყობს ხარისხზე ორიენტირებულ გარემოს. მაგალითად კომპანიაში ორ კვირაში ერთხელ ტარდება ხელმძღვანელი რგოლის შეხვედრები სადაც განიხილება ხარისხის მართვასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, მიმდინარე საკითხები და იდენტიფიცირებული/პოტენციური რისკები.

მონიტორინგი და შეფასება: სისტემატურად იმართება შიდა მონიტორინგი, რომელიც ხელს უწყობს პროცესების შესრულების შესაბამისობის შესწავლასა და შესაძლო ხარვეზების დროულ გამოვლენას.

სწრაფი რეაგირება და გამოსწორება: გამოვლენილი ხარვეზები ან პრობლემები აღირიცხება და ტარდება ძირეული მიზეზების ანალიზი (Root Cause Analysis), რის შემდეგაც იგეგმება გამოსწორების ღონისძიებები.

უწყვეტი გაუმჯობესება: კომპანია ცდილობს სისტემატურად გააუმჯობესოს თავისი პროცესი, დანერგოს ახალი ტექნოლოგიები და მეთოდები ხარისხის ამაღლებისთვის.

ხარისხის მართვის პროცესი: ხარისხის მიზნების დადგენა

კომპანიაში ყოველწლიურად დგება ხარისხის მიზნები, რომლებიც ეფუძნება როგორც ბიზნეს სტრატეგიას, ასევე, წინა პერიოდის შედეგების ანალიზს. მიზნები კონკრეტულ, გაზომვად, მიღწევად, შედეგზე ორიენტირებულ და დროში შეზღუდულ (SMART) კონცეფციასა და ეფუძნებული. მიზნები აერთიანებს:

- ხარისხთან დაკავშირებული შეცდომების შემცირებას
- მომხმარებლების უკუკავშირის გაუმჯობესებას
- სამუშაო პროცესების სტანდარტიზაციას

რისკების იდენტიფიკაცია და მართვა



ხარისხის მართვის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ხარისხთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა. რისკების შეფასებისას გამოვყოფთ:

- ძირითად რისკის ფაქტორებს,
- პოტენციურ შედეგებს,
- შესაძლო კონტროლებს.

კომპანია იყენებს დოკუმენტირებულ პროცედურებს და შიდა შეფასების ინსტრუმენტებს, რათა გამოავლინოს როგორც მიმდინარე, ისე პოტენციური რისკები. რისკების შეფასების შედეგად შემუშავებულია პასუხის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს პრიორიტეტულ ღონისძიებებს რისკების შემცირებისთვის.

პროცედურების შესრულების კონტროლი

პროცესების შესრულების კონტროლი ხორციელდება შიდა მონიტორინგის საშუალებით, რაც მოიცავს რეგულარულ შემოწმებებს და ხარისხის მაჩვენებელთა (KPIs) ანალიზს. ხარისხის ინდიკატორები საშუალებას გვაძლევს, დროულად გამოვავლინოთ პრობლემები.

ხარვეზების გამოვლენა და მართვა



ხარვეზების გამოვლენა ხდება არა მხოლოდ მონიტორინგის შედეგად, არამედ თანამშრომლების წინასწარი შეტყობინებებისა და მომხმარებლების უკუკავშირის საფუძველზეც. ხარვეზის იდენტიფიცირების შემდეგ, ხორციელდება ძირეული მიზეზების ანალიზი (Root Cause Analysis), რის საფუძველზეც მუშავდება გამოსწორების და პრევენციის ღონისძიებები.

მონიტორინგი და გაუმჯობესება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს სისტემის ეფექტიანობას და იღებს გადაწყვეტილებებს არსებული პოლიტიკებისა და პროცედურების განახლების შესახებ. შეფასება მოიცავს როგორც შიდა, ისე საჭიროების შემთხვევაში საგარეო შემოწმებებს. მიღებული ინფორმაცია იძლევა საფუძველს უწყვეტი გაუმჯობესების ღონისძიებების გატარებისთვის.

ადამიანური რესურსები და განათლება

ხარისხის მართვის სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვა. კომპანია უზრუნველყოფს, რომ ყველა თანამშრომელი:

იცნობს ხარისხის პოლიტიკას და პროცედურებს; რეგულარულად გადის აუცილებელ ტრენინგებს; იცნობს თავის როლს და პასუხისმგებლობას ხარისხის უზრუნველყოფაში; აღწევს სათანადო კომპეტენციას და ერგება ორგანიზაციის ხარისხის სტანდარტებს.

ინფორმაციის მართვა და კომუნიკაცია



ხარისხის მართვის პროცესში, მნიშვნელოვანია ინფორმაციის დროული, სანდო და ეფექტური გაცვლა. კომპანია იყენებს დოკუმენტაციის მართვის სისტემას, სადაც ინახება ყველა პოლიტიკა, პროცედურა, მონიტორინგის შედეგები და ანგარიშები. კომუნიკაცია უზრუნველყოფილია სხვადასხვა შიდა არხებით, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის გამჭვირვალობას და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას.

ხარისხის მაჩვენებლები და პროგნოზირება

კომპანია იყენებს ხარისხის მაჩვენებლებს (Assurance Quality Indicators - AQIs), რომლებიც მხარს უჭერს მენეჯერებს და ხელმძღვანელებს ხარისხის პოტენციური რისკების ადრეულ იდენტიფიცირებაში. მაჩვენებლების ანალიზი წარმოადგენს ხარისხის მართვის სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს და იძლევა ინფორმაციას სისტემის ეფექტიანობის შესახებ, რაც გამოიყენება მიზნების გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში.

პასუხისმგებლობა და მმართველობა

ხარისხის მართვის სისტემის წარმატებისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს მმართველობა, რომელიც პასუხისმგებელია სისტემის დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებაზე. ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს საჭირო რესურსების გამოყოფას, ეფექტურ კომუნიკაციას და პასუხისმგებლობის მინიჭებას ყველა დონეზე.

შიდა ხარისხის მართვის სისტემა წარმოადგენს კომპანიის წარმატების ქვაკუთხედს. მისი ეფექტიანად ფუნქციონირება უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას, რისკების შემცირებას და მომხმარებელთა ნდობის განმტკიცებას.

დამოუკიდებლობის პოლიტიკა და პროცედურები

შპს ნექსია ჯორჯიას დამოუკიდებლობის პოლიტიკა და პროცედურები ეფუძნება IESBA-ს ეთიკის კოდექსს, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფირმისა და პიროვნული დამოუკიდებლობა, ფირმის ფინანსური ურთიერთობები, დასაქმების ურთიერთობები, პარტნიორის როტაცია და აუდიტორული და არააუდიტორული მომსახურებების დამტკიცება.

ფირმის ფინანსური დამოუკიდებლობა

კომპანიას ასევე ევალება, რომ არ ჰქონდეს აკრძალული ინტერესები და აკრძალული ურთიერთობები აუდიტის დამკვეთებთან, მათ ხელმძღვანელობასთან, დირექტორებთან და, საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვან მფლობელებთან მიმართებით.

კომპანიას არ აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი ინვესტიციები საჯაროდ მოვაჭრე სუბიექტებსა და ფონდებში (ან მსგავს საინვესტიციო საშუალებებში), ასევე არასაჯარო სუბიექტებსა და ფონდებში.

კომპანია იცავს IESBA-ს ეთიკის კოდექსის, და შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრავს, რა ტიპის მომსახურება შეიძლება გაუწიოს აუდიტის დამკვეთს. კომპანიის კონფლიქტებისა და დამოუკიდებლობის შემოწმების სისტემა მხარს უჭერს კომპანიის შესაბამისობას დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან.

ახალი დამკვეთის აყვანისას, დოკუმენტირდება ინფორმაცია ყველა შესაძლო გარიგების შესახებ: დეტალური სერვისის აღწერა, შესრულების შედეგები და მოსალოდნელი საფასური. როდესაც შეთანხმება აუდიტის დამკვეთისთვისაა, აუცილებელია, ასევე, შეფასდეს შესაძლო დამოუკიდებლობის საფრთხე და დაცვის ზომები, რომლებიც წარმოდგენილია განაცხადში.

აუდიტის პარტნიორები ვალდებული არიან საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისთვის შეისწავლონ ჯგუფის სტრუქტურა, თავიანთ საჯარო ინტერესი სუბიექტსა და ჯგუფში შემავალ კომპანიებთან, ასევე, სხვა აუდიტორულ კლიენტებთან, მათ შორის დაკავშირებულ სუბიექტებსა და აფილირებულ კომპანიებთან. ისინი, ასევე, პასუხისმგებელი არიან, განსაზღვრონ და შეაფასონ ნებისმიერი დამოუკიდებლობის საფრთხე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას შეთავაზებული არაუდიტორული მომსახურების მიწოდების შედეგად და შეიმუშაონ გამანეიტრალებელი ზომები, რომლებიც გამოიყენება ამ საფრთხის შესამცირებლად.

შრომითი ურთიერთობა



კომპანიის ნებისმიერ თანამშრომელს, რომელიც აუდიტორულ ან მარწმუნებელ მომსახურებას უწევს დამკვეთს, ევალება აცნობოს კომპანიის ხელმძღვანელობას, თუ მას აქვს განზრახვა დაიწყოს დასაქმების შესახებ მოლაპარაკებები დამკვეთთან.

არსებობს კონკრეტული აკრძალვები და, გარკვეულ შემთხვევებში, ე.წ. გაგრილების პერიოდი (cooling-off period), რაც აუცილებელია იმისათვის, რომ პროფესიონალმა გარკვეული თანამდებობა დაიკავოს აუდიტის ან მარწმუნებელი მომსახურების დამკვეთებთან.

პერსონალის ფინანსური დამოუკიდებლობა



კომპანიის პერსონალს ევალება, რომ არ ჰქონდეთ აკრძალული ფინანსური ინტერესები და აკრძალული ფინანსური ურთიერთობები კომპანიის აუდიტორული და მარწმუნებელი მომსახურების დამკვეთებთან მიმართებით (აღნიშნულ კონტექსტში, "აუდიტის დამკვეთი" მოიცავს მასთან დაკავშირებულ სუბიექტებსა და აფილირებულ კომპანიებს), ასევე მათ ხელმძღვანელობის, დირექტორებისა და საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მფლობელების მიმართ.

კომპანიის ყველა თანამშრომელი, რომლებსაც მოეთხოვებათ დამოუკიდებლობა, ყოველწლიურად აწერენ ხელს დოკუმენტს, სადაც ოფიციალურად ადასტურებენ, რომ ასრულებენ დამოუკიდებლობის ყველა მოთხოვნას. აღნიშნული დადასტურება მოწმდება შიდა მონიტორინგის ფარგლებში.

ასევე, კომპანია იყენებს აუდიტის სამუშაო პროგრამას რომელშიც ჩაშენებულია კონტროლის სისტემა, რომელიც ეხმარება კომპანიას გარიგების დონეზე მოიპოვოს მტკიცებულება გარიგებაში ჩართული კადრების დამოუკიდებლობის შესახებ.

კომპანიას, ასევე, ევალება, რომ არ ჰქონდეს აკრძალული ინტერესები და აკრძალული ურთიერთობები აუდიტის დამკვეთებთან, მათ ხელმძღვანელობასთან.

დირექტორებთან და, საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვან მფლობელებთან მიმართებით. კომპანიას არ აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი ინვესტიციები საჯაროდ მოვაჭრე სუბიექტებსა და ფონდებში (ან მსგავს საინვესტიციო საშუალებებში), ასევე არასაჯარო სუბიექტებსა და ფონდებში.

დამოუკიდებლობის დადასტურება და ტრენინგი



კომპანიის ყველა თანამშრომელი, რომლებსაც მოეთხოვებათ დამოუკიდებლობა, კომპანიასთან თანამშრომლობის დაწყებისას და მას შემდეგ, ყოველწლიურად აწერენ ხელს დოკუმენტს, სადაც ოფიციალურად ადასტურებენ, რომ ასრულებენ დამოუკიდებლობის ყველა მოთხოვნას. აღნიშნული დადასტურება მოწმდება შიდა მონიტორინგის ფარგლებში. ასევე, კომპანიაში ყოველწლიურად ტარდება ეთიკის კოდექსის გაცნობითი და კოდექსში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით ტრენინგები.

ინტერესთა კონფლიქტის თვითა აცილება

კომპანიასა და ყველა თანამშრომელს ევალება, გამოავლინოს და მართოს ინტერესთა კონფლიქტები - ეს არის სიტუაციები ან გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ კომპანიის ობიექტურობაზე ან მისთვის მიუკერძოებლად მოქმედების შესაძლებლობაზე ან მათი მსგავსი შთაბეჭდილება შექმნას.

კომპანია იყენებს სავალდებულო კონფლიქტებისა და დამოუკიდებლობის შემოწმების სისტემას, რათა პოტენციური კონფლიქტები დროულად გამოავლინოს და მათთვის შესაბამისი სამართლებრივი და პროფესიული მოთხოვნების შესაბამისად მოაგვაროს.

კომპანიის თანამშრომლებს ეკრძალებათ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების დამკვეთებისგან საჩუქრების ან ფასდაკლებების მიღება, თუ მათი ღირებულება არ არის უმნიშვნელო.

დამოუკიდებლობის დარღვევები



კომპანიის თანამშრომლები ვალდებული არიან, დამოუკიდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით კომპანიის ხელმძღვანელობას დაუყოვნებლივ აცნობონ, როგორც კი ამის შესახებ შეიტყობენ.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დამოუკიდებლობის დარღვევასთან დაკავშირებულ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ნულოვანი ტოლერანტობა ქრთამისა და კორუფციის მიმართ

ჩვენ გვაქვს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ქრთამისა და კორუფციის მიმართ. კომპანიის პარტნიორებსა და თანამშრომლებს ევალებათ გაიარონ ტრენინგი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კორუფციის წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციების და პროფესიული სტანდარტებთან დაკავშირებით - მათ შორის, ინფორმაციას, როგორ უნდა მოხდეს სავარაუდო ან ფაქტობრივი დარღვევების მოხსენება.

აუდიტორთა განგრძობითი პროფესიული განათლების პოლიტიკა



კომპანიის განგრძობითი პროფესიული განათლების პოლიტიკა მიზნად ისახავს გარიგების პარტნიორებისა და სხვა საკვანძო აუდიტორთა პროფესიული კომპეტენციის შეუფერხებელ განვითარებასა და განახლებას, განსაკუთრებით იმ პირთა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ საზოგადოებრივი დაინტერესების პირების (სდპ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

კომპანია უზრუნველყოფს აუდიტორთა უწყვეტ მონაწილეობას საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ ორგანიზებულ განგრძობითი განათლების პროგრამებში, რომელიც სრულად შესაბამისია საერთაშორისო პროფესიული სტანდარტებისა და ეროვნულ რეგულაციებთან. აღნიშნული პროგრამები მოიცავს როგორც ტექნიკურ ცოდნასა და აუდიტის სტანდარტების განახლებას, ისე ეთიკურ პრინციპებს და პროფესიულ პასუხისმგებლობას.

განგრძობითი განათლების სისტემაში აუდიტორთა ჩართულობა მკაცრად კონტროლდება ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში და მარეგულირებელი სამსახურის მიერ, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი უნარებისა და ცოდნის დონეს აუდიტორთა მხრიდან, აუდიტორული ანგარიშგებების სანდოობისა და აუდიტის დამოუკიდებლობის დაცვას. კომპანიაში ასევე დანერგილია შიდა ტრენინგების/გადამზადების სისტემა. ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს პროფესიული მომსახურების უწყვეტ გაუმჯობესებას და შესაბამისობას საქართველოს საკანონმდებლო და პროფესიულ მოთხოვნებთან.

აღნიშნული პოლიტიკით კომპანია ხელს უწყობს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესის ხარისხის ამაღლებას, უზრუნველყოფს აუდიტორული პრაქტიკის მაღალ სტანდარტებს და მნიშვნელოვნად აფართოებს საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ნდობას.

პარტნიორების ანაზღაურების განმსაზღვრელი ფაქტორები



ფინანსური გარიგების პარტნიორის კანდიდატურის წარდგენა ხორციელდება მმართველი პარტნიორის/ების მიერ. წარდგენილი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიულ და პიროვნულ კრიტერიუმებს:

პროფესიული კუთხით:

- უმაღლესი განათლება ფინანსების მიმართულებით;
- ACCA, სერტიფიცირებული ბუღალტერი;
- იცნობდეს საერთაშორისო განათლების სტანდარტს (International Education Standard (IES) 8 on Professional Competence for Engagement Partners Responsible for Audits of Financial Statements (Revised) IES 8) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგების პარტნიორების პროფესიული კომპეტენციის შესახებ- „IES 8“;
- ითვალისწინებდეს განგრძობადი პროფესიული განვითარების სტანდარტების - „CPD“ (Continuing Professional Development (CPD)) შესაბამის სწავლების მიდგომებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას;
- ხელმძღვანელ პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 2(ორი) წლიანი გამოცდილება;
- ფინანსური ანგარიშგების აუდიტის აუდიტორის ზედამხედველობით ჩატარების არანაკლებ 3-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნული სამი წლიდან ორი წლის მანძილზე სერტიფიცირებული ბუღალტერი უშუალოდ გარიგების პარტნიორის დაქვემდებარებაში მუშაობდეს და შესრულებული ჰქონდეს შემდეგი ფუნქციები:

1. აუდიტის სამუშაო გუნდის მართვა
2. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა
3. ხარისხის უზრუნველყოფა
4. აუდიტის დაგეგმვა
5. დამკვეთ სუბიექტთან ურთიერთობა გარიგების მნიშვნელოვან საკითხებზე
6. არსებითი აუდიტორული მტკიცებულებების და მსჯელობების, აუდიტს დაქვემდებარებული ფინანსური ანგარიშგების მთლიანობაში მიმოხილვა, რაც საფუძვლად ედება აუდიტორული დასკვნის მომზადებას.

პარტნიორის ანაზღაურების პოლიტიკა

გარიგების პარტნიორის ანაზღაურება
განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების
გათვალისწინებით:



სამუშაო გამოცდილება

გარიგების პარტნიორისათვის მინიჭებული
ხარისხი (სდპ/არა სდპ);

კომპანიაში დანერგილი გარიგების
პარტნიორის შეფასების შედეგები

გარიგების პარტნიორებისა და საკვანძო პერსონალის როტაციის პოლიტიკა

კომპანიის ხარისხის მართვის სისტემა სრულად შესაბამისია საქართველოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მე-15 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან, რომელიც განსაზღვრავს აუდიტორული გარიგების ვადებსა და როტაციის წესებს.

კანონის თანახმად, საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგება შეიძლება დაიდოს არანაკლებ 2 წლით და არაუმეტეს 10 წლით. სდპ-ის პარტნიორთა ან აქციონერთა კრების გადამწყვეტილებით ჩატარებულ საჯარო ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში, აღნიშნული 10-წლიანი ვადა, შესაძლოა, დამატებით 10 წლით გაგრძელდეს. თუმცა, კანონით დადგენილი ვადების გასვლის შემდეგ, აუდიტორული ფირმასთან ხელახალი გარიგების გაფორმება შესაძლებელია მხოლოდ 4 წლის გასვლის შემდეგ.

კომპანია მკაცრად აკონტროლებს გარიგების პარტნიორისა და სხვა საკვანძო პერსონალის როტაციის საჭიროების საკითხს და უზრუნველყოფს, რომ თითოეული სდპ-ის მიმართ როტაცია განხორციელდეს არანაკლებ 7 წელიწადში ერთხელ. აღნიშნული პოლიტიკა წარმოადგენს ხარისხის მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილს და ხელს უწყობს პროფესიული ეთიკის, სტანდარტების დაცვას და ფინანსური ანგარიშგების სანდოობას.

ამ პოლიტიკის შესრულების კონტროლი და მონიტორინგი განხორციელებულია ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს კანონის მოთხოვნების სრულ დაცვას და აუდიტორული საქმიანობის მაღალ სტანდარტს.

სამსახურის მონიტორინგის შედეგები

საქართველოს ანგარიშგების, აუდიტისა და აღრიცხვის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) მიერ Nexia Georgia-ს ხარისხის მართვის სისტემის ბოლო მონიტორინგი განხორციელდა 2023 წლის მეორე ნახევარში.

მონიტორინგის პროცესი დასრულდა 2023 წლის დეკემბერში, რის საფუძველზეც კომპანიას მიენიჭა სავალდებულო აუდიტის განხორციელების უფლება, რაც ადასტურებს კომპანიის ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასა და პროფესიული სტანდარტების მოთხოვნებთან.

საანგარიშგებო პერიოდში მიღებული სანქციების გადაწყვეტილებები

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში სამსახურის მიერ კომპანიასთან დაკავშირებით განხორციელდა მოკვლევა, რომელიც დაფუძნებული იყო წარდგენილ აუდიტის დოკუმენტაციასა და ინფორმაციაზე. მოკვლევის პროცესში შეფასდა აუდიტის ფაილი და დადგინდა, რომ კომპანიის მიერ აუდიტის ჩატარებისას არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი შემდეგი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) მოთხოვნების შესრულება:

- ასს 210 – „აუდიტის გარიგების პირობებზე შეთანხმება“ – მე-3 და მე-7 პუნქტები,
- ასს 705 (გადასინჯული) – „მოსაზრების მოდიფიცირება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში“ – მე-6, მე-9, მე-10 და გ8 პუნქტები.

აღნიშნული შეფასების საფუძველზე, სამსახურის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება კომპანიის დაჯარიმების შესახებ. სანქციის დადების საფუძველი გახდა აუდიტორული საქმიანობისას დადგენილი ზემოაღნიშნული პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დარღვევა, რაც ემსახურებოდა აუდიტის ხარისხზე ზედამხედველობის მიზნების რეალიზაციას და ფინანსური ანგარიშგებების სანდოობის უზრუნველყოფას.

შპს „ნექსია ჯორჯია“ გამჭვირვალობის ანგარიშის გამოქვეყნებით, ადასტურებს კომპანიის მზადყოფნასა და პასუხისმგებლობას საზოგადოებისა და რეგულატორის წინაშე, წარმოაჩინოს თავისი საქმიანობის, მართვის, ხარისხის კონტროლისა და პროფესიული სტანდარტების დაცვის სრული სურათი.

2024 წელი „ნექსია ჯორჯიასთვის“ გამორჩეული იყო მნიშვნელოვანი საერთაშორისო აღიარებით: კომპანია დაჯილდოვდა „წლის კომპანიის“ (Firm of the Year) ტიტულით Nexia International-ის მასშტაბით, რაც დაახლოებით 520 ოფისს შორის ყველაზე გამორჩეულ შედეგებს ასახავს.

ასევე, Nexia Georgia გახდა პირველი აუდიტორული ფირმა საქართველოში, რომელმაც ISO 27001-ს უახლესი, 2022-ის ვერსია დანერგა კომპანიაში. ISO 27001 ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის საერთაშორისო სტანდარტია, რომელიც უსაფრთხოების რისკების მართვისა და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების დანერგვის გზით, ინფორმაციის მთლიანობას, კონფიდენციალობასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

„ნექსია ჯორჯია“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებასა და კომპეტენციის ზრდას. წლის განმავლობაში კომპანიამ დააორგანიზა სხვადასხვა ტრენინგი, რომელიც მოიცავდა როგორც პროფესიულ, ისე ზოგად განვითარებასთან დაკავშირებულ თემებს - მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის, რისკების მართვის, ეფექტური კომუნიკაციისა და თანამედროვე სამუშაო მეთოდების მიმართულებით.

აღნიშნული ინიციატივები ხელს უწყობს კომპანიის საქმიანობის უწყვეტ გაუმჯობესებას, მომსახურების ხარისხის ამაღლებას და მომხმარებელთა და დაინტერესებული მხარეების ნდობის განმტკიცებას.

„ნექსია ჯორჯია“ რჩება გამჭვირვალობის, პასუხისმგებლობისა და პროფესიონალიზმის მაღალი სტანდარტების ერთგული. კომპანიის მიზანია, განაგრძოს განვითარება ისე, რომ უზრუნველყოს მომხმარებელთა და მარეგულირებლის ნდობის შენარჩუნება, ფინანსური ანგარიშგებების სანდოობის განმტკიცება და კორპორაციული გამჭვირვალობის კულტურის მხარდაჭერა საქართველოს ბაზარზე.